იურიდიული პირების გენერალური ხელშეკრულება საბანკო მომსახურების გაწევის შესახებ (ზოგადი პირობები)

თავი 1. შესავალი

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **გენერალური ხელშეკრულების საბანკო მომსახურების გაწევის შესახებ (შემდგომში „**გენერალური ხელშეკრულება“), და მათ შორის დაკავშირებული გარიგებების საფუძველზე **ბანკი** კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს **კლიენტს, მის მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე,** რეალურ და დისტანციურ რეჟიმში ამავე გენერალური ხელშეკრულებითა და დაკავშირებული გარიგებებით გათვალისწინებული წესითა და პირობით საბანკო მომსახურება, რომელსაც წარმოადგენს:

1.1.1. საბანკო ანგარიშის გახსნა და ანგარიშის მეშვეობით ოპერაციების წარმოება;

1.1.2. დისტანციური საბანკო მომსახურება

1.1.3. სადეპოზიტო / საანაბრო მომსახურება;

1.1.4. საკრედიტო მომსახურება;

1.1.5. საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურება;

1.2. გენერალური ხელშეკრულებით და მათ შორის დაკავშირებული გარიგებებით, გათვალისწინებული საბანკო მომსახურების სანაცვლოდ კლიენტი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ბანკს საზღაური (საკომისიო და სხვა) ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნებულია ბანკის ვებ-გვერდზე www.halykbank.ge .

მუხლი 2. საბანკო მომსახურების მიღება

2.1. გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურების (შემდგომში „საბანკო მომსახურება“) კლიენტის მიერ მიღება წარმოებს ბანკისათვის შესაბამისი განაცხადის (შემდგომში „განაცხადი“) წარდგენის საფუძველზე.

2.2. საბანკო მომსახურების მიღების თაობაზე კლიენტის განაცხადი ბანკს წარედგინება წერილობითი ფორმით, ხოლო ბანკის ელექტრონულ-პროგრამულ სისტემაში ინტერნეტ ბანკის მომსახურების მიღების მიზნით კლიენტის ავტორიზების შემთხვევაში კლიენტის განაცხადი საბანკო მომსახურების მიღებაზე ბანკს შეიძლება წარედგინოს ასევე ელექტრონული ფორმით, რაც განიხილება კლიენტის ნების გამოვლენად და რაც სამართლებრივი თვალსაზრისით სრულად უთანაბრდება წერილობით ფორმას.

2.3. კლიენტის განაცხადით მოთხოვნილ საბანკო მომსახურების გაწევას ბანკი უზრუნველყოფს განაცხადის აქცეპტისა და მოთხოვნილი საბანკო მომსახურებისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობის კლიენტის მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში.

2.4. შემდგომში ყოველგვარი გაურკვევლობისა და ბუნდოვანების გამოსარიცხად ბანკი უფლებამოსილია, მის ვებ-გვერდზე (www.halykbank.ge) გამოქვეყნებით დამოუკიდებლად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად დამატებით დაადგინოს (მათ შორის შეცვალოს არსებული) საბანკო მომსახურების მიღების თაობაზე კლიენტის განაცხადის აქცეპტირების პირობები და მოთხოვნები, ამ განცხადების განხილვის ვადა და პროცედურა, განცხადების ფორმა და შინაარსი, განაცხადის წარმოდგენის წესი, განაცხადის განხილვის ფორმა, განაცხადის დაკმაყოფილების ტექნიკური აღწერილობა და სხვა პირობები, რომლის შესაბამისადაც ბანკი განიხილავს კლიენტის განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დაკმაყოფილებისა და/ან უარის თქმის შესახებ.

2.5. ბანკის მიერ კლიენტის განაცხადის აქცეპტირების (დაკმაყოფილების) შემთხვევაში კლიენტს გაეწევა მის მიერ განაცხადით მოთხოვილი საბანკო მომსახურება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული გარიგებებითა და ბანკის მიერ გამოქვეყნებული ტარიფების შესაბამისად.

2.6. კლიენტი აცნობიერებს, რომ საბანკო მომსახურების მიღების თაობაზე განაცხადი წარმოადგენს უკანგამოუთხოვად სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ის ამყარებს ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობას გენერალური ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული გარიგებებითა და ბანკის მიერ გამოქვეყნებული ტარიფების პირობების შესაბამისად, ბანკის მიერ განაცხადის აქცეპტირების შემთხვევაში, და რის შედეგადაც კლიენტს წარმოეშვება შესაბამისი უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის ფინანსური ვალდებულება.

2.7. შემდგომში ყოველგვარი ბუნდოვანებისა და ორაზროვნების გამოსარიცხად, ბანკი უფლებამოსილია განსაზღვრული ვადითა და/ან ვადის დაწესების გარეშე განუსაზღვრელი პერიოდით, მიზეზების გაცხადებისა და დასაბუთების გარეშე შეაჩეროს კლიენტის განაცხადების მიღება / განხილვა წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით, დამატებითი გარიგებებითა და ბანკის მიერ გამოქვეყნებული ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებული რომელიმე საბანკო მომსახურების გაწევაზე.

2.8. კლიენტის განაცხადის წარმოდგენის, განხილვისა და მასთან დაკავშირებული პირობების კლიენტისათვის ხელმისაწვდომობას ბანკი უზრუნველყოფს მის ფილიალებსა და ვებ-გვერდზე (www.halykbank.ge) გამოქვეყნებით. ამასთან, ვებ-გვერდის ცვლილების შემთხვევაში, ამ და სხვა ინფორმაციის გამოქვეყნება იწარმოებს ახალ ვებ-გვერდზე, რომლის თაობაზე კლიენტს ეცნობება ბანკში დაფიქსირებული კომუნიკაციის ერთ-ერთი და/ან ყველა საშუალების გამოყენებით, ბანკის შეხედულებით.

2.9. ბანკი არ არის შეზღუდული კლიენტის განცხადების მიღებამდე, აქცეპტამდე და აქცეპტის შემდგომ ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირობა/ წესი, მათ შორის მიიღოს გადაწყვეტილება მომსახურების მოდიფიცირებაზე, გაზრდაზე, შემცირებაზე, ამოღებასა და სხვა მომსახურების დამატებაზე, რის შესახებაც ინფორმაცია კლიენტს ეცნობება 2.8-ე პუნქტით გათვალისწინებული წესით

თავი 2. საბანკო ანგარიშის გახსნა და საბანკო ანგარიშის მეშვეობით საგადახდო და არასაგადახდო ოპერაციების წარმოება

მუხლი 3. საბანკო ანგარიშის გახსნა

3.1. კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკი უხსნის კლიენტს საბანკო ანგარიშს (შემდგომში ანგარიში), ახორციელებს ოპერაციებს კლიენტის ანგარიშზე და უწევს საბანკო მომსახურებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შიდა ნორმატიული დოკუმენტების (მათ შორის პლასტიკური ბარათებით მომსახურების შესახებ ბანკში დადგენილი წესების და პირობების და სხვა შიდა დოკუმენტების), ბანკის ტარიფების, წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების შესაბამისად.

3.2. ანგარიშის გასახსნელად კლიენტმა ბანკში უნდა წარადგინოს დოკუმენტები, რომელთა ჩამონათვალიც განსაზღვრულია საქართველოს უფლებამოსილი ორგანოებისა და ბანკის შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით.

3.3. ანგარიშის გახსნის შესახებ ინფორმაცია კლიენტს მიეწოდება ბანკის მიერ დადგენილი ფორმით, მათ შორის ინტერნეტ ბანკის სისტემის მეშვეობით, ამ უკანასკნელი მომსახურებით კლიენტის მიერ ბანკისაგან სარგებლობის შემთხვევაში.

3.4. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, ინტერნეტ ბანკის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში დამატებითი საბანკო ანგარიში კლიენტს შეიძლება გაეხსნას, ბანკისათვის ელექტრონულ ფორმაში განცხადების წარდგენისა და ამ განცხადების ბანკის მიერ ინტერნეტ ბანკის სისტემით დაკმაყოფილების გზით, რა დროსაც ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ყალიბდება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების მიხედვით.

მუხლი 4. საბანკო ანგარიშის წარმოება

ბანკის ვალდებულებები:

4.1. გაუხსნას კლიენტს ანგარიში კლიენტის მიერ ბანკისათვის საზღაურის გადახდის და დოკუმენტების სრული პაკეტის წარდგენის შემთხვევაში.

4.2. მიიღოს და შეასრულოს კლიენტის საგადახდო დოკუმენტები ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის შესახებ (შემდგომში დავალებები) ბანკის გრაფიკით დადგენილი საოპერაციო დღის ფარგლებში, ანგარიშზე საჭირო თანხის არსებობის შემთხვევაში და მხოლოდ შესაბამისი წესით გაფორმებული დავალებების და კლიენტის მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტების საფუძველზე, ბანკის მიერ დამოწმებული დავალებების ასლების (დავალების მიღების ფაქტის დასტური) კლიენტისათვის წარდგენით. კლიენტისაგან დავალების მიღების შემთხვევაში ვალუტირების თარიღის მითითებით, ბანკი ახორციელებს თანხის გადარიცხვას ამგვარი დოკუმენტის საფუძველზე ბენეფიციარისათვის, თანხის ბენეფიციარი ბანკის მიერ ჩარიცხვის/გაცემისათვის აუცილებელი დროის გათვალისწინებით;

4.3. ბანკის საოპერაციო დღის განმავლობაში განახორციელოს კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის ოპერაციები, თუ ამგვარი ოპერაციები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და კლიენტის მიერ წარმოდგენილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;

4.4. შესთავაზოს მომსახურების სრული კომპლექტი, ბანკის მიერ დადგენილი ოპერაციების ჩატარების საერთო პირობების თანახმად, კლიენტის მიერ ამგვარი მომსახურების ბანკისათვის ანაზღაურების და ბანკისათვის სავალდებულო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ;

4.5. არ გაახმაუროს ცნობები კლიენტის ანგარიშზე თანხების არსებობისა და მოძრაობის შესახებ, გარდა საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა;

4.6. მოთხოვნისამებრ მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია ანგარიშ(ებ)ის შესახებ;

4.7. მოთხოვნისამებრ მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია შესრულებული დავალებების შესახებ, ბანკის ანგარიშიდან ამონაწერისა ან/და საგადახდო დოკუმენტის წარდგენის გზით, ქაღალდზე და/ან

ელექტრონული სახით შესრულებული ფორმით, გადახდის თარიღის არაუგვიანეს მომდევნო საოპერაციო დღისა;

4.8. ბანკის ფილიალებში (საოპერაციო დარბაზებში), ასევე ბანკის ვებგვერდზე www.Halykbank.ge განათავსოს ინფორმაცია მომსახურების ტარიფებში ცვლილებების შესახებ ასეთი ცვლილებების ამოქმედებამდე ერთი თვით ადრე;

ბანკის უფლებები:

4.9. ანგარიშის გახსნისას და წარმოებისას, ასევე სხვა საბანკო მომსახურების განხორციელებისას გამოითხოვოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი დოკუმენტი;

4.10. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განახორციელოს ანგარიშიდან თანხების ჩამოწერა კლიენტის აქცეპტის/დამატებითი აქცეპტის (თანხმობის) გარეშე;

4.11. უარი განაცხადოს კლიენტის დავალებების (საგადახდო დოკუმენტების) შესრულებაზე თუ ასეთი დავალება ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ან კლიენტის მიერ დარღვეულია უფლებამოსილი ორგანოს აქტებით დადგენილი საგადახდო დავალებების შევსების წესი, ან მათი წარმოდგენის ვადები, ასევე თუ კლიენტის მიერ არ არის უზრუნველყოფილი ანგარიშზე საკმარისი თანხის არსებობა ბანკის კუთვნილი საკომისიოს ჩათვლით;

4.12. დაბლოკოს ანგარიში უფლებამოსილი ორგანოს მიერ ბანკში კლიენტის ანგარიშზე გასავლის ოპერაციების განხორციელების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების წარმოდგენის შემთხვევაში; ასევე ანგარიშზე დაბლოკოს თანხები, უფლებამოსილი ორგანოს მიერ კლიენტის თანხების დაყადაღების შესახებ გადაწყვეტილების წარმოდგენის შემთხვევაში (თუ ანგარიშზე არ არის ყადაღის განკარგულებაში მითითებული საკმარისი თანხა - დააგროვოს ანგარიშზე ყადაღაში მითითებული ოდენობის თანხა);

4.13. განაახლოს ანგარიშზე ოპერაციები, საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილებების და დადგენილებების გაუქმების/უკანგაწვევისას შესაბამისი წერილობითი/ელექტრონული შეტყობინებების მიღების საფუძველზე;

4.14. იმ შემთხვევაში თუ დადგინდება კლიენტის ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის ფაქტი, ბანკი უპირობოდ უფლებამოსილია ამ შეცდომის აღმოფხვრის მიზნით უაქცეპტო წესით განახორციელოს აღნიშნული თანხის კლიენტის ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწერა, ანგარიშის პირდაპირი დებეტირების გზით;

4.15. უარი განუცხადოს კლიენტს ანგარიშის დახურვაზე, კლიენტის მხრიდან მის წინაშე შეუსრულებელი მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ანგარიშის დახურვა უკავშირდება ლიკვიდაციას ან რეორგანიზაციას, ასევე ანგარიშზე თანხის არ არსებობას ბოლო შესრულებული ოპერაციიდან ორ წელზე მეტი დროის მანძილზე;

4.16. კლიენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ბანკის მომსახურების ტარიფებში, თუ ასეთი ცვლილებების ამოქმედებამდე ერთი თვით ადრე ინფორმაცია მომსახურების ტარიფებში ცვლილებების შესახებ განთავსებული იქნება ბანკის ფილიალებში (საოპერაციო დარბაზებში), ასევე ბანკის ვებგვერდზე www.Halykbank.ge, თუ დამატებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით.

4.17. ანგარიშიდან პირდაპირი დებეტირების გზით, უაქცეპტო წესით ამოიღოს გაწეული მომსახურებისათვის ბანკის კუთვნილი საკომისიო ბანკის შიდა ნორმატიული დოკუმენტით დადგენილი წესით და ვადებში;

4.18. უაქცეპტო წესით ჩამოწეროს ანგარიშიდან თანხა მესამე პირების საინკასო დავალებების და თანდართული დოკუმენტების შესაბამისად, რასაც არ ესჭიროება დამატებითი აქცეპტი;

4.19. უაქცეპტო წესით ამოიღოს/ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშიდან კლიენტის მხრიდან ბანკისადმი არსებული ნებისმიერი დავალიანება;

4.20. კლიენტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის/სახელწოდების ცვლილებისას, ასევე ბეჭდის დაკარგვის/გაცვეთის შემთხვევაში - მისცეს კლიენტს ხუთი სამუშაო დღე ახალი ბეჭდის დასამზადებლად, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მოახდინოს ოპერაციების განხორციელება საგადახადო დავალებებით მათზე კლიენტის ბეჭდის ანაბეჭდის დასმის გარეშე, კლიენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე;

4.21. კლიენტის მიერ ბანკისათვის საკომისიოს გადახდის დაგვიანების შემთხვევაში ანგარიშზე არასაკმარისი თანხის/თანხის არარსებობის გამო, ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დავალიანება უაქცეპტო წესით, კლიენტის დამატებითი აქცეპტის გარეშე, მათ შორის პირდაპირი დებეტირების გზით ამოიღოს კლიენტის ბანკში არსებული სხვა ანგარიშებიდან; წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს თავის უპირობო და გაუთხოვად თანხმობას მასზედ, რომ ბანკმა უაქცეპტო წესით მოახდინოს კლიენტის ეროვნულ და/ან უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანგარიშებიდან ბანკისადმი არსებული კლიენტის დავალიანების ამოღება ამ ანგარიშის ჩათვლით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

4.22. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დახუროს ანგარიში თუ ანგარიშზე არ არსებობს ნაშთი და არ ჩატარებულა ოპერაციები ორი წლის განმავლობაში (შემოსული და/ან გასული გადახდების არარსებობის შემთხვევაში) ანგარიშზე განხორციელებული ბოლო ოპერაციიდან;

4.23. ანგარიშის დახურვის შესახებ კლიენტის განცხადების გარეშე, ანგარიშის მიმართ შეუსრულებელი მოთხოვნების არარსებობისას საკუთარი ინიციატივით დახუროს ანგარიში, მასზე თანხის არარსებობის შემთხვევაში ორი წლის განმავლობაში ანგარიშის ბოლო განულების დღიდან.

4.24. ანგარიშიდან ნაღდი ფულის მოთხოვნის შემთხვევაში მოითხოვოს კლიენტის მიერ ნაღდი ფულის მოთხოვნის შესახებ განცხადების განაღდებამდე ერთი დღით ადრე წარმოდგენა თუ გასანაღდებელი თანხა შეადგენს 100 000 აშშ დოლარზე, ან მის ექვივალენტზე მეტს სხვა ვალუტაში.

4.25. დროებით გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე რიცხული სახსრები საკრედიტო რესურსების სახით, რომელზეც არ წარმოებს პროცენტის დარიცხვა, თუ მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

კლიენტის ვალდებულებები:

4.26. ანგარიშის გახსნისათვის, ასევე ანგარიშზე ოპერაციების ჩასატარებლად, წარმოადგინოს დოკუმენტები საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

4.27. არ მოახდინოს ბანკის მიერ თანხის უაქცეპტო ამოღების დაბრკოლება ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის ამოღების შემთხვევაში რის შესახებაც თავად ბანკის მიერ გახდა ცნობილი ან კლიენტის მიერ იქნა შეტყობინებული, ასევე კლიენტის ბანკისადმი არსებული სხვა დავალიანების ამოღება, მათ შორის და არა მხოლოდ ანგარიშის გახსნის/ ფუნქციონირების საკომისიო ანაზღაურება, ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირგასამტეხლო, ანგარიშის/ანგარიშების პირდაპირი დებეტირების გზით;

4.28. არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა დაეთანხმოს ან უარი თქვას მესამე პირთა დავალებების შესრულებაზე ანგარიშის მიმართ. აქცეპტის უარყოფა მოახდინოს წერილობითი/ინტერნეტ ბანკის სისტემიდან ელექტრონული შეტყობინების სახით, ხელს აწერს კლიენტის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირველი ხელმძღვანელი პირი და მოწმდება ტვიფრიანი ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთვევაში). აღნიშნული პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საინკასო დავალებებზე;

4.29. ბანკის წინაშე სასესხო დავალიანების არსებობის შემთხვევაში მიაწოდოს ბანკს ინფორმაცია სხვა ბანკებში საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ მისი გახსნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4.30. სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში აცნობოს ბანკს და წარმოადგინოს შესაბამისი სახით გაფორმებული დამადასტურებელი დოკუმენტები – ხელახალი რეგისტრაციის, გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის, იურიდიული მისამართის, ტელეფონის, საგადამხდელო დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლების მქონე პირის/პირების და კლიენტის სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შეცვლის შესახებ;

4.31. იქონიოს მუდმივი კონტაქტი ბანკთან;

4.32. შეასრულოს ბანკის (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი) მოთხოვნები ანგარიშის გახსნასა და წარმოებასთან დაკავშირებით;

4.33. წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შექმნილი საგადახდო დოკუმენტები;

4.34. კლიენტის ანგარიშზე შეცდომით თანხის ჩარიცხვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში – აღმოჩენილი ფაქტის შესახებ ბანკს ინფორმაცია მიაწოდოს არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა;

4.35. მისცეს ბანკს მითითებები ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში ოპერაციების ჩატარების შესახებ ბანკის კუთვნილი საკომისიოს გათვალისწინებით, ბანკში დაწესებული საოპერაციო დღის დასრულებამდე;

4.36. ამ ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესაბამისად კლიენტი გამოხატავს თავის უპირობო და გამოუწვევად თანხმობას ბანკის წინაშე მისი დავალიანებების თანხების ბანკის მიერ ამოღებაზე (კლიენტის დამატებითი აქცეპტის გარეშე ჩამოწერაზე) ეროვნულ ან/და სხვა ვალუტაში ბანკში გახსნილი ანგარიშებიდან, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

კლიენტის უფლებები:

4.37. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებლად განკარგოს თავის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისი ელექტრონული ან ქაღალდზე შესრულებული საგადამხდელო დოკუმენტების ბანკში წარმოდგენით;

4.38. მისაწვდომი იყოს საკუთარი ანგარიშებით სარგებლობა ბანკის მიერ დადგენილი საოპერაციო დღის განმავლობაში; დისტანციური მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში 24 საათის განმავლობაში, შესაბამისი დათქმებისა და პირობების გათვალისწინებით;

4.39. წინამდებარე გენარალური ხელშეკრულებით დადგენილი პირობების ფარგლებში სრულად მიიღოს ანგარიშთან დაკავშირებული მომსახურება.
4.40. მიიღოს ბანკისგან ინფორმაცია ანგარიშების მდგომარეობის შესახებ;
4.41. თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებულ საგადასახადო დავალებაში/განაცხადში მიუთითოს ვალუტირების თარიღი.
4.42. გამოიყენოს უნაღდო ანგარიშსწორების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმები; ასევე განახორციელოს ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ბანკის ნორმატიული დოკუმენტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით.
4.43. გაეცნოს ბანკის ტარიფებს;

მუხლი 5. საბანკო ანგარიშის წარმოებასთან დაკავშირებით მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო ოპერაციასთან და მასში მონაწილე პირებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან/და დოკუმენტები. მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას არ შეასრულოს კლიენტის დავალება.
5.2. ბანკი უფლებამოსილია უაქცეპტოდ კლიენტის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოწეროს ანგარიშიდან, ასევე კლიენტის სხვა ანგარიშებიდან იმ საკომისიო სარგებლის თანხები, რაც ეკუთვნის ბანკს, ასევე კლიენტის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხები. კლიენტი აძლევს ბანკს უპირობო და უდავო უფლებას თანხების უაქცეპტოდ ჩამოსაწერად წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და პირობებით, კლიენტის მხრიდან ბანკის საგადახდო დავალებების, ასევე ანგარიშის პირდაპირი დებეტირების ოპერაციებითა და კლიენტის სხვა საბანკო ანგარიშებიდან დამატებითი აქცეპტის გარეშე.
5.3. ბანკი უფლებამოსილია უაქცეპტოდ ჩამოაჭრას კლიენტს ანგარიშიდან დამატებითი საკომისიო რომელიც გამოწვეულია გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილე მიმღები/შუამავალი ბანკის ნებისმიერი ქმედებით (კვლევა, დაზუსტება და სხვა).
5.4. კლიენტი ვალდებულია მისცეს ბანკს მითითებები ანგარიშზე იმ ოპერაციების განხორციელების შესახებ, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, იმ დოკუმენტების წარდგენით, რაც გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი წესით.
5.5. კლიენტი ვალდებულია წერილობითი სახით ან მხარესთან შეთანხმებული კავშირის სხვა საშუალებებით დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს იმ რწმუნებულის შეცვლის, ან მისი უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, რომელსაც მინდობილობის საფუძველზე მიანიჭა ანგარიშის განკარგვის უფლება და წარმოადგინოს დოკუმენტების ორიგინალები, რაც ადასტურებს ამგვარ ცვლილებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი არ აგებს პასუხს იმ პირთა ქმედებებზე, რომელთაც მინდობილობის საფუძველზე მინიჭებული აქვთ ანგარიშის განკარგვის უფლება.
5.6. კლიენტი კისრულობს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე აუნაზღაუროს ბანკს მომსახურება ბანკის ტარიფების შესაბამისად.
5.7. კლიენტის მხრიდან ბანკის მიმართ ნებისმიერი დავალიანების არსებობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია უაქცეპტოდ ჩამოწეროს დავალიანების თანხა კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას.

მუხლი 6. საბანკო ანგარიშის წარმოებასთან დაკავშირებული ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობის გამორიცხვა

ბანკის პასუხისმგებლობა:

6.1. კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის არამართლზომიერი შეყოვნებისათვის და ანგარიშიდან თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებით კლიენტის დავალების შესრულების არამართლზომიერი შეყოვნებისათვის, ბანკი კლიენტს უხდის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირგასამტეხლოს.

კლიენტის პასუხისმგებლობა :

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით ბანკის მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობისას/არადროული/არაჯეროვანი გადახდისას კლიენტი ბანკს უხდის პირგასამტეხლოს, გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე. ბანკის მიერ პირგასამტეხლოს თანხის ამოღება ხდება უაქცეპტოდ, ანგარიშის დებეტირების გზით კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხული პირველივე საკმაო რაოდენობის თანხიდან, ასევე კლიენტის სხვა საბანკო ანგარიშებიდან.

პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება:

6.3. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის პასუხს არ აგებენ თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შესრულებას ხელი შეუშალა გადაულახავმა დაბრკოლებებმა (ფორს-მაჟორი), მათ შორის ელექტროენერგიის გათიშვამ, კავშირგაბმულობის ხაზების დაზიანებამ და სხვა გარემოებებმა რომლებიც დამოუკიდებელია მხარეთა ნებისაგან და ზეგავლენას ახდენს ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოვალეობების შესრულებაზე;

6.4. ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტის წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე/არაჯეროვან შესრულებაზე, თუ ამის მიზეზია კლიენტის ან მესამე პირის მიერ მიცემული გაურკვეველი, არასრული ან არაზუსტი ინსტრუქციები, აგრეთვე სხვა ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზები;

6.5. ბანკი არ აგებს პასუხს ზიანზე, რომელიც მიადგა კლიენტს ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების და/ან ანგარიშზე ფულადი სახსრების დაყადაღების გამო, რაც განხორციელებული იქნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებების/მოქმედებების საფუძველზე; ასევე იმ ზიანზე, რომელიც მიადგა კლიენტს მისი ანგარიშიდან თანხების უაქცეპტო ჩამოწერით მესამე პირების მიერ საინკასო დავალებების და/ან დავალება-მოთხოვნის საფუძველზე, რაც უაქცეპტოდ ხორციელდება;

6.6. ბანკი არ აგებს პასუხს ზიანზე, რომელიც მიადგა კლიენტს მის ანგარიშებთან მიმართებაში განხორციელებული არასანქცირებული ოპერაციების გამო შესრულებული საგადახდო დავალებების და/ან ამავე საგადახადო დავალებების უკან გაწვევის გამო - თუ ისინი გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნებისმიერ პირობის არსებობისას, ასევე მათ შორის: იმ შემთხვევებში, თუ ბანკს წარედგინება აღნიშნული დოკუმენტები გაყალბების აშკარა გარეგნული ნიშნების არქონით უფლებამოსილი ან/და არაუფლებამოსილი პირების მიერ. ბანკის მუშაკი მხოლოდ ვიზუალურად ადარებს საგადახადო დოკუმენტებზე/გაწვევის განაცხადზე შესრულებულ ხელმოწერებს და ბეჭედს კლიენტის ხელმოწერებს და ბეჭედს.

მესამე პირთა პასუხისმგებლობა:

6.7. მესამე პირების მიერ თანხების უსაფუძვლო უაქცეპტო ჩამოწერაზე კლიენტის ანგარიშიდან (საინკასო დავალებები/განკარგულებები) პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამგვარი დავალებების წარმომდგენებს (აღმასრულებლებს და სხვა). ბანკი არსებითად არ განიხილავს კლიენტის ანგარიშიდან მისი თანხმობის გარეშე თანხის ჩამოწერის საწინააღმდეგო მოსაზრებას კლიენტის მხრიდან.

6.8. პასუხისმგებლობა ანგარიშებზე ოპერაციების უსაფუძვლო შეჩერებისათვის და თანხის დაყადაღებისათვის ეკისრება სახელმწიფო ორგანოს, რომელმაც წარმოადგინა კლიენტის ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების და/ან კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხის დაყადაღების გადაწყვეტილება.

თავი 3. ინტერნეტ ბანკი

მუხლი 7. ინტერნეტ ბანკის გააქტიურება (ავტორიზება)

7.1. ინტერნეტ-ბანკით მომსახურება გულისხმობს ბანკში გამოუცხადებლად კლიენტის მიერ ბანკის სპეციალური ინტერნეტ-გვერდის https://myhalyk.ge/ გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული საბანკო ინფორმაციის მიღებას, სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას, ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.

7.2. ბანკის მიერ ინტერნეტ ბანკის სისტემით მომსახურება ხორციელდება კლიენტის მიერ გამოხატული ნების (ბანკში განაცხადის წარდგენით და/ან თვითრეგისტრაციით ბანკის ვებ-გვერდიდან https://myhalyk.ge/) საფუძველზე. კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკი ანიჭებს კლიენტს საშუალებას მის საბანკო ანგარიშებზე საბანკო ოპერაციები განახორციელოს დისტანციურად, კერძოდ ინტერნეტ-ბანკის საშუალებით და ამავე საშუალების გამოყენებით ბანკს წარუდგინოს განცხადება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურების მიღებაზე. მომსახურების ძირითადი პირობები მოცემულია ინტერნეტ ბანკის სისტემის მომსახურების ზოგად პირობებში, რომელიც არის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული გარიგება და განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე.

7.3. ბანკის მხრიდან ინტერნეტ ბანკის სისტემაში პირის რეგისტრაცია გულისხმობს ბანკში დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად პირის და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლების წინასწარი იდენტიფიკაციის და მათი უფლებამოსილების დადგენის საფუძველზე, ბანკის კლიენტის რეგისტრაციას ინტერნეტ ბანკის სისტემაში და კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენელისათვის სისტემის ადმინისტრატორის მომხმარებლის შექმნას/რეგისტრაციას/აქტივაციას და სისტემაზე წვდომის მინიჭებას; კლიენტის უფლებამოსილი პირისათვის ადმინისტრატორის უფლების მქონე მომხმარებლის სახელის, სისტემაში

შესასვლელი ერთჯერადი პაროლის და ერთჯერადი კოდის მაგენერირებელი საშუალების გადაცემას.

7.4. ბანკის მხრიდან კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის (დირექტორი, მინდობილი პირი) სისტემაში ადმინისტრატორად რეგისტრაცია გულისხმობს ბანკში დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად ამ პირის წინასწარი იდენტიფიკაციისა და შესაბამისი უფლებამოსილების დადგენის საფუძველზე, ამ პირისათვის ინტერნეტ ბანკის სისტემაში ახალი მომხმარებლ(ებ)ის დამატების და ამ მომხმარებლ(ებ)ისათვის სხვადასხვა უფლებების მინიჭების შესაძლებლობას.

7.5. კლიენტის ინტერნეტ ბანკის სისტემის ადმინისტრატორის მიერ სისტემაში მომხმარებლის დამატება/რეგისტრაცია გულისხმობს კლიენტის, როგორც უფლებამოსილი, ისე ნებისმიერი პირის მომხმარებლის დამატებას სისტემაში და კლიენტის ანგარიშების განკარგვაზე მისი უფლებამოსილების ფარგლებში, სისტემაში შესაბამისი უფლებების (მათ შორის სისტემაზე ხედვის/კონტროლის უფლება, სისტემაში ოპერაციების/ქმედების ხელმოწერის/ავტორიზაციის უფლება) მინიჭებას.

7.6. ადმინისტრატორის მიერ სისტემაში ხელმოწერის/ავტორიზაციის უფლების მქონე მომხმარებელის დამატება და მისთვის ბანკის მიერ სისტემაზე წვდომის მინიჭება გულისხმობს: ბანკის მხრიდან სისტემაში მომხმარებლის აქტივაციას პირის იდენტიფიკაციისა და კლიენტის ანგარიშების განკარგვაზე უფლებამოსილების დადგენის საფუძველზე ბანკში დაცული დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესაბამისად და ამ პირისათვის მომხმარებლის სახელის, სისტემაში შესასვლელი ერთჯერადი პაროლის და ერთჯერადი კოდის მაგენერირებელი საშუალების გადაცემას.

7.7. ადმინისტარტორის მიერ სისტემაში ხედვის/კონტროლის უფლების მქონე მომხმარებლის დამატება და მისთვის ბანკის მიერ სისტემაზე წვდომის მინიჭება გულისხმობს ამ პირისათვის მისი იდენტიფიცირების და კლიენტის ანგარიშების განკარგვაზე უფლებამოსილების დადგენის გარეშე მომხმარებლის სახელის, სისტემაში შესასვლელი ერთჯერადი პაროლის და/ან ერთჯერადი კოდის მაგენერირებელი საშუალების გადაცემას. ასეთი მომხმარებლები ბანკის მხრიდან აქცეპტს არ საჭიროებენ.

7.8. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით განსაზღვრული კლიენტის ვალდებულებები სრულად ვრცელდება სისტემაში წვდომის დასაშვებად ბანკის მიერ სისტემაში რეგისტრირებულ კლიენტის მომხმარებელ(ებ)ზე, რომლის(თა) მეშვეობითაც კლიენტს (სისტემაში წარმოდგენილს მისი მომხმარებლ(ებ)ის სახით) ინტერნეტ ბანკში ეძლევა ცალკეული ოპერაციების და/ან ქმედების განხორციელების შესაძლებლობა.

7.9. ინტერნეტ ბანკში წვდომის უფლება შესაძლებელია მიენიჭოს კლიენტის მინდობილ პირს, კლიენტის მიერ გაცემული სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე და/ან უფლებამოსილ პირს - უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში ინტერნეტ ბანკის მომხმარებლად რეგისტრირდება და მომხმარებლის მართვის/განკარგვის უფლება ენიჭება კლიენტის მინდობილ პირს და/ან უფლებამოსილ წარმომადგენელს მისი უფლებამოსილების ფარგლებში.

7.10. კლიენტსა (სისტემაში წარმოდგენილს მისი მომხმარებლ(ებ)ის სახით) და ბანკს შორის კომუნიკაცია მყარდება ელექტრონულ ფორმატში. აღნიშნული სახით (ელექტრონული ფორმით) კომუნიკაციას გააჩნია იურიდიული ძალა და ითვლება მხარის მიერ სამართლებრივი ნების გამოვლენად.

მუხლი 8. ინტერნეტ ბანკით სარგებლობის ძირითადი დებულებები

8.1. ბანკი კლიენტის ინტერნეტ ბანკის სისტემის მომხმარებელ(ებ)ს სისტემაზე წვდომის უფლებას ანიჭებს კლიენტის მიერ ბანკისათვის წარდგენილი განაცხადში მითითებული ინფორმაციის და კლიენტის სისტემის ადმინისტარტორის მიერ სისტემაში მომხმარებლისათვის მინიჭებული უფლებების შესაბამისად კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენლების უფლებამოსილების ფარგლებში და/ან ბანკში ამ მომხმარებლების შესახებ დაცული ინფორმაციის/დოკუმენტაციის შესაბამისად.

8.2. ბანკს ინტერნეტ ბანკის სისტემაში წვდომის მინიჭებისთვის დადგენილი აქვს სავალდებულო საიდენტიფიკაციო მონაცემების ერთობლიობა: მომხმარებლის სახელი, პაროლი და ერთჯერადი კოდის მაგენერირებელი საშუალება: eToken Pass (სავალდებულოა ხელმოწერის/ავტორიზაციის მქონე მომხმარებლებისთვის, ნებაყოფლობითი- ხედვის/კონტროლის უფლების მქონე მომხმარებლებისათვის) ან SMS Pass-ით (მხოლოდ ხედვის/კონტროლის უფლების მქონე მომხმარებლებისათვის) მიღებული ერთჯერადი კოდი. ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს იმ მომხმარებელთა ჩამონათვალი, ვისთვისაც სისტემაში დასაშვებად და ოპერაციების/ქმედებების შესასრულებლად სავალდებულოა ერთჯერადი კოდის მაგენერირებელი eToken Pass მოწყობილობის გამოყენება.

8.3. ინტერნეტ ბანკის სისტემაში ავტორიზაციისათვის სავალდებულო ამ მუხლის 8.2. პუნქტით განსაზღვრული მონაცემების გადაცემა/გაგზავნა კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენლებისათვის ხორციელდება ბანკში დადგენილი ინტერნეტ ბანკის სისტემის მომსახურების ზოგადი პირობების შესაბამისად, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: https://halykbank.ge.

8.4. კლიენტი ოპერაციებს აწარმოებს ინტერნეტ ბანკში დაშვების შემდეგ. დაშვება ხდება ბმულის https://myhalyk.ge გამოყენებით, ბანკის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული მომხმარებლის სახელით, ერთჯერადი პაროლით და ერჯერადი კოდით.

8.5. მომხმარებლის მიერ ინტერნეტ ბანკის სისტემის მეშვეობით გენერირებული ნებისმიერი ელექტრონული დოკუმენტი, ასევე სისტემის მეშვეობით მის მიერ გაცემული დასტური ხელშეკრულების და/ან შეთანხმების პირობებზე, ტოლფასია ქაღალდის მატარებელზე დატანილი შესაბამისი ხელშეკრულების და/ან შეთანხმების პირობებზე კლიენტის ნების ხელმოწერით დადასტურებისა. ხელშეკრულების/შეთანხმების პირობებზე ინტერნეტ ბანკის მეშვეობით კლიენტის დასტურის მიღებისთანავე, აღნიშნულ ხელშეკრულებას/შეთანხმებას ენიჭება სამართლებრივი ძალა.

8.6. მომხმარებელს სისტემის მეშვეობით პაროლის ცვლილების, სისტემის მეშვეობით ოპერაციების წარმოების, ელექტრონული დოკუმენტების (მათ შორის განაცხადების) გენერირების და/ან სხვა ქმედებების განხორციელების უფლება ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე თარიღისათვის არსებული მომხმარებლის სახელით წარმატებით გაივლის იდენტიფიკაციას.

8.7. მომხმარებლის სისტემაში დაშვების გარდა, ერთჯერადი ავტორიზაციის კოდი საჭიროა, ინტერნეტ ბანკის მეშვეობით შესრულებული ოპერაციის და/ან ქმედების საბოლოო ავტორიზებისათვის. ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს იმ ოპერაციების ჩამონათვალი, რომლის დროსაც სავალდებულოა ერთჯერადი კოდის გამოყენება.

8.8. კლიენტს ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის მეშვეობით, სისტემაში ოპერაციების განხორციელების და/ან მომსახურების მიღების შესახებ შესაბამისი დოკუმენტის ფორმირება და ავტორიზაცია შეუძლია ნებისმიერ კალენდარულ დღეს, 24 საათის განმავლობაში, ხოლო მათი შესრულება წარმოებს ბანკში დადგენილი ინტერნეტ ბანკის სისტემის მომსახურების ზოგადი პირობების შესაბამისად, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მისი ყველა პუნქტი ცნობილია კლიენტისათვის.

8.9. ინტერნეტ ბანკის მომსახურებისას ოპერაციის განხორციელება ყოველთვის არ არის სინქრონული მიღებულ დავალებასთან და დავალება შეიძლება ვერ შესრულდეს ამ დავალების გაცემისთანავე. ზოგიერთი საკითხის დამუშავებას შეიძლება დაჭირდეს გარკვეული დრო, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.10. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეგულაციების გარდა მხარეების ურთიერთობები დაკავშირებული საბანკო ოპერაციების განხორციელებასთან (ტარიფები, წინაპირობები და ა.შ.), რეგულირდება ბანკში დადგენილი ინტერნეტ ბანკის სისტემის მომსახურების ზოგადი პირობების შესაბამისად (განთავსებულს ბანკის ვებ-გვერდზე, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად განიხილება), შესაბამისი კანონმდებლობით, და მხარეებს შორის გაფორმებული სხვა ხელშეკრულებებით.

მუხლი 9. ინტერნეტ ბანკით სარგებლობიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა

ბანკი უფლებამოსილია:

9.1. გააუმჯობესოს მომსახურება, შეცვალოს მომსახურების მახასიათებლები.

9.2. კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე (გადარიცხვები, კონვერტაციები და ა.შ) ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრული დასაშვები ოდენობები ან მოცულობები (ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადასარიცხი თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა და ა.შ). აღნიშნული შეზღუდვის შესახებ კლიენტს ეცნობება უშუალოდ შეტყობინებით და/ან ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული პირობებით, ცვლილებების განხორციელებამდე/დადგენამდე 30 კალენდარული დღით ადრე.

9.3. ოპერაციის განხორციელებისათვის კლიენტს მოსთხოვოს კანონმდებლობით/ბანკის შიდა მარეგლამენტირებელი წესებით გათვალისწინებული დოკუმენტი და აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არ მისცეს ოპერაციის განხორციელების უფლება.

9.4. კლიენტს მოსთხოვოს სისტემის მომხმარებლის დასარეგისტრირებლად, ასევე სისტემაში დამატებული მომხმარებლის აქცეპტირებისათვის კანონმდებლობით და/ან ბანკის შიდა მარეგლამენტირებელი წესებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მომხმარებლისათვის

მინიჭებული/მისანიჭებელი უფლებებების შესაბამისად და აღნიშნული დოკუმენტაციის 5 დღის ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში არ დაარეგისტრიროს/არ გააქტიუროს სისტემის მომხმარებელი და არ მიანიჭოს წვდომა სისტემაზე.

9.5. საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს დამატებითი მოთხოვნები კლიენტისათვის ინტერნეტ ბანკის მომსახურების მისაღებად. აღნიშნული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს კლიენტს სისტემაში კლიენტის რეგისტრაციასა და/ან მომსახურების გაწევაზე.

9.6. კლიენტს გაუხსნას საბანკო ანგარიშები ინტერნეტ ბანკის სისტემიდან კლიენტის სახელზე რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ ინიცირებული განაცხადის საფუძველზე ბანკში დადგენილი წესების შესაბამისად და/ან კლიენტს განუცხადოს უარი ანგარიშის გახსნაზე მიზეზის აუხსნელად.

9.7. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და/ან დაბლოკოს სისტემის მომხმარებელი, თუ ბანკისათვის საეჭვოა მომხმარებლის ქმედება და/ან ბანკის შეხედულებისამებრ ირღვევა უსაფრთხოების ნორმები, ამასთანავე აღნიშნულის შესახებ ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს კლიენტს.

9.8. არ მიიღოს და/ან შეასრულოს კლიენტის მიერ სისტემის მეშვეობით გამოგზავნილი დავალება, თუ იგი არ შეესაბამება ან/და ეწინააღმდეგება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და/ან ბანკში დადგენილ წესებს და/ან კლიენტის ანგარიშებზე არ არის დავალების შესასრულებლად საჭირო ოდენობის თანხა.

9.9. თავად განსაზღვროს/შეცვალოს დისტანციური მომსახურებით სარგებლობის და ინტერნეტ ბანკის სისტემაზე წვდომის მინიჭებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკომისიო, რომლის შესახებ ეცნობება კლიენტს ბანკში დადგენილი ნებისმიერი საკომუნიკაციო არხით.

9.10. თავად განსაზღვროს კლიენტის მიერ დისტანციური მომსახურებისათვის დადგენილი საკომისიოს გადაუხდელობის გამო, მომსახურების შეჩერების ვადები და პირობები, რომლის შესახებ 1 თვით ადრე წინასწარ ეცნობება კლიენტს ბანკში დადგენილი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით (ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტ ბანკის სისტემის, სატელეფონო ზარების, SMS შეტყობინების ან/და სხვა კომუნიკაციების საშუალებით)

ბანკი ვალდებულია:

9.11. კლიენტის მომხმარებლის იდენტიფიცირების საფუძველზე, ინტერნეტ ბანკის სისტემაში შესვლის შემდეგ, უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე, გადარიცხვებსა და დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემაში არსებულ სხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

9.12. უზრუნველყოს ინტერნეტ ბანკით სარგებლობის წესებში ცვლილებების და სიახლეების შესახებ ინფორმაციის განთავსება ბანკის ვებ გვერდზე.

9.13. ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში ბანკისათვის მისაღები ფორმით აცნობოს კლიენტს აღნიშნულის თაობაზე.

9.14. ბანკის მიერ გამოცხადებულ სამუშაო საათების განმავლობაში მიიღოს და შეასრულოს ინტერნეტ ბანკის სისტემიდან მიღებული საბანკო ტრანზაქციის გაუქმება/შეჩერებასთან დაკავშირებული კლიენტის ელექტრონული მომართვა, თუ იგი გამოგზავნილი შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მომხმარებლისგან იქნება ინტერნეტ ბანკის სისტემიდან ელექტრონული შეტყობინებით ამ ტრანზაქციის შესრულებაზე დავალების მიცემიდან არაუმეტეს 1 საათის განმავლობაში და ბანკის მხრიდან ამ საბანკო ტრანზაქციის შესრულებამდე (არასამუშაო საათებში გამოგზავნილი/მიღებული მომართვა ექვემდებარება შესრულებას სამუშაო საათებში იმ პირობით, თუ მომართვით გათვალისწინებული ტრანზაქცია არ იქნება შესრულებული ბანკის მიერ). შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, ნებისმიერი მომართვა, რომელსაც ბანკი მიიღებს კლიენტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მომხმარებლის სახელით ინტერნეტ ბანკის სისტემიდან, ექვემდებარება შესრულებას (გარდა სისტემის მეშვეობით საბანკო ტრანზაქციის განხორციელებაზე) და მასზე, მათ შორის ნამდვილობასა და შინაარსზე, ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა.

9.15. დაიცვას კონფიდენციალობა.

9.16. კლიენტის ინტერნეტ ბანკის სისტემის მომხმარებლის და/ან კლიენტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე წარმომადგენლის მიერ საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დაკარგვის შესახებ გაცხადების მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეზღუდოს/დაბლოკოს კლიენტის მომხმარებლის წვდომა ინტერნეტ ბანკის სისტემაში, კლიენტის მხრიდან ახალი განკარგულების გაცემამდე.

კლიენტი/სისტემის მომხმარებელი ვალდებულია:

9.17. დარწმუნდეს, რომ დაუკავშირდა ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდს და სისტემაში შესვლისას შეამოწმოს თავისი საიდენტიფიკაციო მონაცემების სისწორე.

9.18. მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების ნორმები: უსაფრთხოდ, მესამე პირის წვდომისაგან დაცულად შეინახოს სისტემაში დაშვებისათვის აუცილებელი საიდენტიფიკაციო მონაცემები და დაიცვას

კონფიდენციალობა, არ გაანდოს პაროლი და არ გადასცეს სხვა პირებს ერთჯერადი კოდის მაგენერიებელი საშუალებები.

9.19. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ინტერნეტ ბანკის მეშვეობით/ბანკის ფილიალებში პირადად, წარმოადგინოს რეგისტრაციისთვის/ბანკის მხრიდან მომხმარებლის აქცეპტირებისთვის/ სისტემაში ოპერაციის/ქმედების განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტ(ებ)ი.

9.20. დაიცვას და იხელმძღვანელოს ბანკში დადგენილი ინტერნეტ ბანკის სისტემის მომსახურების ზოგადი პირობებით, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

კლიენტი/სისტემის მომხმარებელი უფლებამოსილია:

9.21. ინტერნეტ ბანკის მეშვეობით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით წარადგინოს პრეტენზიები ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

9.22. მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის დაკარგვის/დავიწყების ან/და ერთჯერადი კოდის მაგენერირებელი საშუალების დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში, კლიენტის შესაბამისი უბლებების მქონე პირს უფლება აქვს ბანკისაგან მიიღოს მომხმარებლის სახელი/ახალი პაროლი ან/და ერთჯერადი კოდის მაგენერირებელი ახალი საშუალება (შესაბამისი ტარიფის გადახდის შემდეგ).

კლიენტი/სისტემის მომხმარებელი აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ:

9.23. მის მიერ ბანკში დაფიქსირებულ ტელეფონის, ნომერზე, ელ-ფოსტაზე და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებზე მიიღოს ბანკის მიერ გამოგზავნილი ნებისმიერი საკომუნიკაციო არხით ნებისმიერი შინაარსის მქონე შეტყობინება.

9.24. აცნობიერებს და იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერ ოპერაციაზე და/ან ქმედებაზე, რომელიც შესრულდება მის სახელზე რეგისტრირებული მომხმარებლის სახელით ინტერნეტ ბანკის სისტემაში;

9.25. უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, რომ მის მიერ ინტერნეტ ბანკის სისტემაში ანგარიშის გახსნაზე გამოხატული ნების (ელექტრონული განაცხადის გაგზავნის საფუძველზე) საფუძველზე, უზრუნველყოს ანგარიშების გახსნა ბანკში დადგენილი პირობებისა და წესების და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული სამართლებრივი ნორმების დაცვით.

9.26. მის მიერ ინტერნეტ ბანკის სისტემაში განაცხადის/ხელშეკრულების/შეთანხმების პირობებზე/სისტემაში მითითებული ან/და საჯარო წყაროების მეშვეობით მოპოვებული მისი პერსონალური მონაცემების გამოთხოვასა და დამუშავებაზე გამოხატული თანხმობა ჩაითვლება სამართლებრივი ძალის მქონედ თანხმობის გამოხატვის მომენტიდან.

9.27. კლიენტის ინტერნეტ ბანკის სისტემის ადმინისტრატორის მიერ სისტემაში დამატებულ მომხმარებლებს ბანკმა მიანიჭოს წვდომა სისტემაზე ამ პირთა უფლებამოსილების შესახებ ბანკში დაცული ინფორმაციის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში სისტემაში ამ მომხმარებლებისათვის ადმინისტრატორის მიერ მინიჭებულ უფლებებთან, ასევე ამ უფლებების აქცეპტირებისათვის ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო დოკუმენტაციის არსებობისას.

9.28. მისთვის ცნობილია, რომ სისტემის ადმინისტრატორის მიერ სისტემაში დამატებული მომხმარებლისათვის ისეთი უფლებების მინიჭებისას, რომელიც აჭარბებს კლიენტის წარმომადგენლობაზე ბანკში დაცული დოკუმენტაციით განსაზღვრულ უფლებებს და/ან მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ამ პირისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, ბანკი არ განახორციელებს მომხმარებლის რეგისტრაციას/აქტივაციას.

9.29. მისთვის ცნობილია სისტემის მომხმარებლების სისტემაზე წვდომის დასაშვებად სავალდებულო დოკუმენტაციის ბანკში 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბანკი არ განახორციელებს მომხმარებლის რეგისტრაციას/აქტივაციას.

9.30. მისთვის ცნობილია დისტანციური მომსახურების (მათ შორის ინტერნეტ ბანკის სისტემასთან წვდომის მისანიჭებლად, ასევე მომსახურების მისაღებად ბანკის მიერ დადგენილი საკომისიო) მისაღებად ბანკის მიერ დადგენილი ტარიფები და აცხადებს თანხმობას მათ შესრულებაზე. ასევე მისთვის ცნობილია, რომ საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკის მიერ დადგენილ ვადებში კლიენტის თანხმობის გარეშე განხორციელდება დისტანციური მომსახურების დეაქტივაცია.

ბანკი არ არის პასუხისმგებელი:

9.31. კლიენტის ტექნიკური საშუალებების/ინტერნეტ კავშირის გაუმართავობით ან ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით გამოწვეულ ოპერაციების ჩატარების შეუძლებლობის შემთხვევებზე.

9.32. კლიენტის მიერ განაცხადის არასწორი, არასრულყოფილი ან მცდარი მონაცემებით შევსებით ან/და ინტერნეტ ბანკის საშუალებით გადარიცხვისას არასწორი რეკვიზიტების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე.

9.33. ბანკის რეკომენდაციების შეუსრულებლობით გამოწვეულ შედეგებზე.

9.34. ნებისმიერი პირის მიერ კლიენტის სისტემაში დაშვებისათვის სავალდებული საიდენტიფიკაციო მონაცემების არაავტორიზებულად გამოყენების შემთხვევაში;
9.35. ინტერნეტ ბანკის ისეთ არასანქცირებულ გამოყენებაზე, რომელიც განპირობებულია კლიენტის ბრალეულობით.
9.36. ინტერნეტ ბანკთან კომუნიკაციისა და წვდომის უსაფრთხო საშუალებების / არხების გარეშე განხორციელებულ ტრანზაქციებსა და მათ შედეგებზე.
9.37. კლიენტისათვის განკუთვნილი მონაცემებით მესამე პირების მიერ სანქცირებულად და/ან არასანქცირებულად ინტერნეტ ბანკით სარგებლობისას, თუ აღნიშნული მონაცემების მოპოვებაში ბანკს არ მიუძღვის ბრალი. ამასთან სისტემის გარეთ მესამე პირების მიერ კლიენტისათვის განკუთვნილი მონაცემების მოპოვებაზე ბანკს ასევე არ ეკისრება პასუხისმგებლობა.

თავი 4. დეპოზიტის / ანაბრის გახსნა

მუხლი 10. დეპოზიტის / ანაბრის გახსნა

10.1. კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკი კლიენტის განცხადებაში გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისად გაუხსნის კლიენტს ანაბარს /დეპოზიტს.
10.2. კლიენტს ანაბრის/დეპოზიტის გახსნა, შესაბამისი განცხადების წარმოდგენით, შეუძლია ბანკის მიერ ანაბრის/ დეპოზიტის გახსნასთან დაკავშირებით დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც კლიენტისათვის ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდისა და ინტერნეტ ბანკის (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში) მეშვეობით.
10.3. ანაბრის/დეპოზიტის გახსნასთან დაკავშირებით კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა წინამდებარე გენერალურ ხელშეკრულებასთან ერთად რეგულირდება შესაბამისი დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობებით, რომელიც კლიენტისათვის ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდისა და ინტერნეტ ბანკის (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში) მეშვეობით.
10.4. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, ინტერნეტ ბანკის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში ანაბარი/დეპოზიტი კლიენტს შეიძლება გაეხსნას, ბანკისათვის ელექტრონულ ფორმაში კლიენტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მომხმარებლის მიერ სისტემიდან განცხადების წარდგენისა და ამ განცხადების ბანკის მიერ ინტერნეტ ბანკის სისტემით დაკმაყოფილების გზით, რა დროსაც ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ყალიბდება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებითა და დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების მიხედვით.

თავი 5. საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურება

მუხლი 11. საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურება

11.1. კლიენტისათვის წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით ხელმისაწვდომი და დასაშვები საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურების პროდუქტებს, სახეებს, პირობებსა და ფორმებს დამოუკიდებლად და ცალმხრივ რეჟიმში განსაზღვრავს ბანკი, რომელიც კლიენტის მიერ ამ მომსახურებით სარგებლობის საკითხს იხილავს და წყვეტს კლიენტის განცხადების საფუძველზე.
11.2. საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა წინამდებარე გენერალურ ხელშეკრულებასთან ერთად რეგულირდება შესაბამისი დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობებით, რომელიც კლიენტისათვის ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდისა და ინტერნეტ ბანკის (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში) მეშვეობით.
11.3. საგადახდო ინსტრუმენტის მოქმედების ვადა, მის შესაბამის საბარათე ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებელი და მომსახურების პირობები განისაზღვრება ბანკის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული და მოქმედი სტანდარტული მომსახურების პირობებით, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე: www.halykbank.ge.
11.4. საპროცენტო სარგებლის გაანგარიშება წარმოებს ანგარიშზე თანხის მიღების მომდევნო დღიდან, ხელშეკრულების მოქმედების დასრულების დღის ჩათვლით. საპროცენტო სარგებლის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება კალენდარული დღეების ზუსტი რაოდენობა, ამასთან, წელიწადი იანგარიშება 365 დღით. საბარათე ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდა წარმოებს შესაბამის ვალუტაში, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ყოველი თვის დასრულების შემდეგ, შესაბამის საბარათე ანგარიშებზე ჩარიცხვის გზით.
11.5. ბანკს უფლება აქვს შეცვალოს საპროცენტო სარგებელის განაკვეთი ცალმხრივად საპროცენტო სარგებელის განაკვეთის ცვლილების თაობაზე ბანკის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან. ასეთ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე ოცდაათი

დღით ადრე გაუგზავნოს კლიენტს წერილობითი ან ელექტრონული შეტყობინება საბარათე ანგარიშზე არსებულ ნაშთზე საპროცენტო სარგებლის განაკვეთის ცვლილების შესახებ. წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც საპროცენტო სარგებლის ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ.

11.6. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, ინტერნეტ ბანკის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურება კლიენტს შეიძლება მიეწოდოს, ბანკისათვის ელექტრონულ ფორმაში განცხადების წარდგენისა და ამ განცხადების ბანკის მიერ ინტერნეტ ბანკის სისტემით დაკმაყოფილების გზით, რა დროსაც ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ყალიბდება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებითა და დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების მიხედვით.

11.7. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურების პროდუქტების, მისი სახეების, პირობებისა და ფორმების ბანკის მიერ განსაზღვრა არ გულისხმობს დაპირებასა და არ წარმოშობს ბანკის ვალდებულებას კლიენტისათვის საგადახდო ინსტრუმენტებით მომსახურების გაწევაზე.

თავი 6. საკრედიტო მომსახურება

მუხლი 12. საკრედიტო მომსახურება

12.1. კლიენტისათვის წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებით ხელმისაწვდომი და დასაშვები საკრედიტო მომსახურების პროდუქტებს, სახეებს, პირობებსა და ფორმებს დამოუკიდებლად და ცალმხრივ რეჟიმში განსაზღვრავს ბანკი, რომელიც კლიენტის მიერ ამ მომსახურებით სარგებლობის საკითხს იხილავს და წყვეტს კლიენტის განცხადების საფუძველზე.

12.2. საკრედიტო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა წინამდებარე გენერალურ ხელშეკრულებასთან ერთად რეგულირდება შესაბამისი დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობებით, რომელიც კლიენტისათვის ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდისა და ინტერნეტ ბანკის (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში) მეშვეობით.

12.3. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, ინტერნეტ ბანკის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში საკრედიტო მომსახურება კლიენტს შეიძლება მიეწოდოს, ბანკისათვის ელექტრონულ ფორმაში განცხადების წარდგენისა და ამ განცხადების ბანკის მიერ ინტერნეტ ბანკის სისტემით დაკმაყოფილების გზით, რა დროსაც ბანკსა და კლიენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ყალიბდება წინამდებარე გენერალური ხელშეკრულებითა და დაკავშირებული გარიგებ(ებ)ით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების მიხედვით.

12.4. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, საკრედიტო მომსახურების პროდუქტების, მისი სახეების, პირობებისა და ფორმების ბანკის მიერ განსაზღვრა არ გულისხმობს დაპირებას და არ წარმოშობს ბანკის ვალდებულებას კლიენტისათვის საკრედიტო მომსახურების გაწევაზე.

თავი 7. ზოგადი დებულებები

მუხლი 13. ცვლილებები და დამატებები გენერალურ ხელშეკრულებასა და მასთან დაკავშირებულ გარიგებებში, ასევე ტარიფებსა და სხვა წესებში.

13.1. მხარეები საგანგებოდ თანხმდებიან, რომ ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივ რეჟიმში შეიტანოს ცვლილება/დამატება კლიენტთან დადებულ/მოქმედ წინამდებარე გენერალურ ხელშეკრულებაში, მის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სახელშეკრულებო პირობებში, დაკავშირებულ გარიგებებში, გამოქვეყნებულ ტარიფებში, წესებში და სხვა პირობებში, რომლის თაობაზე კლიენტს ეცნობება ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით და/ან ბანკში დაფიქსირებულ კლიენტის რომელიმე ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით.

13.2. ცვლილებები, რომელიც არსებითად ცვლის ბანკსა და კლიენტს შორის ჩამოყალიბებულ სახელშეკრულებო ნებისმიერ პირობას, რომლის ცალმხრივად და კლიენტისაგან დამატებითი თანხმობის გარეშე შეცვლის უფლება ბანკს არ გააჩნია, ძალაში შედის და კლიენტისათვის შესასრულებლად სავალდებულო ხდება ამ ცვლილებების თაობაზე კლიენტისათვის შესაბამისი შეტყობინებიდან (გამოქვეყნებიდან) 30 კალენდარული დღის გასვლის შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ ვადის განმავლობაში კლიენტი წერილობით უარს არ განაცხადებს აღნიშნულ ცვლილებაზე (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბანკს წარმოეშვება უფლება შეწყვიტოს კლიენტთან

შესაბამისი ის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელშიც ცვლილებების ინიცირებას კლიენტმა არ დაუჭირა მხარე).

მუხლი 14. პერსონალური მონაცემების მოპოვება / დამუშავება

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკი უფლებამოსილია მუდმივად აწარმოოს კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათი მოპოვება და შენახვა ნებისმიერი წყაროდან, მათ შორის სახელმწიფო და არასახელმწიფო, კერძო დაწესებულებიდან.

14.2. წინამდებარე გენერალურ ხელშეკრულების დადებით კლიენტი უფლებას ანიჭებს (თანხმობას უცხადებს) ბანკს მასზედ, რომ ნებისმიერი სახელმწიფო და კერძო დაწესებულებიდან მოიპოვოს/დაამუშავოს კლიენტის შესახებ ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია, მათ შორის შეზღუდვის გარეშე სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა“ და საკრედიტო ბიუროს - სს "კრედიტინფო საქართველო"-ს (რეგისტრირებული 2005 წლის 14 თებერვალს ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით №06/5-51), აგრეთვე, სათანადოდ შექმნილი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი სხვა საკრედიტო ბიუროს / საფინანსო დაწესებულების მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან/მონაცემთა ბაზიდან კლიენტის შესახებ დაცული ნებისმიერი პერსონალური და კომერციული მონაცემები, ბანკის მიერ საბანკო მომსახურეობის გაწევის, შეთავაზებისა და განხორციელების მიზნით.

მუხლი 15. მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება მოქმედებს კლიენტის მიერ მისი წერილობითი/ ელექტრონული ფორმით აღიარება/დადასტურების მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 16. დავების განხილვის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

16.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავას განიხილავს და გადაწყვეტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. წინამდებარე შეთანხმების მიმართ მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა, რა დროსაც დაუშვებელია უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენება.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

17.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს ამავე ხელშეკრულების სხვა დებულებებისა და მის სრულ ბათილობას, თუ ბათილი დებულების მიუხედავად შესაძლებელია შეთანხმებული საგნის მიღწევა.

17.2. მხარეები თანხმდებიან, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს ქალაქის/მობილური ტელეფონის ნომერ(ებ)ზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართ(ებ)ზე ან/და საფოსტო მისამართ(ებ)ზე ან/და ინტერნეტ ბანკის სისტემით გამოაგზავნოს საბანკო პროდუქტის ან/და მომსახურების შესახებ შეთავაზება ან/და ნებისმიერი სახის საინფორმაციო/გამაფრთხილებელი შეტყობინება(ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტ ბანკის სისტემის, სატელეფონო ზარების, SMS შეტყობინების ან/და სხვა კომუნიკაციების საშუალებით)

17.3. მხარეები გარანტიას იძლევიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დადება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და მესამე პირებთან დადებულ გარიგებას, რომ ადგილი არ აქვს მოჩვენებითობასა და/ან სხვა გარიგების დამალვას და რომ არ არსებობს რაიმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი დაბრკოლება, რამაც შეიძლება შეაფერხოს და/ან შეუძლებელი გახადოს წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელება.

17.4. მხარეები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლენითა და მასზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების გარეშე, რომელიმე მხარის მხრიდან სხვაგვარი შედეგების დაპირების გარეშე და ნებათა თანხვედრით.

17.5. ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თითოეულმა მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს საკონტაქტო რეკვიზიტების ცვლილების შესახებ. აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში ძველ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება განიხილება მიღებულად, რომელსაც სდევს შესაბამისი სამართლებრივი შედეგები.

17.6. ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მასთან განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო საუბარი (მათ შორის მისი ნებისმიერი მოთხოვნა/განცხადება საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის, საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების ან/და ოპერაციის განხორციელების შესახებ) დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად).

17.7. წინამდებარე ხელშეკრულების დადებით ძალადაკარგულად ცხადდება იმავე საგანზე მხარეებს შორის ადრე წარმოებული ნებისმიერი მოლაპარაკება და მიღწეული/დადებული ყველა

შეთანხმება, რაც არ იწვევს წარმოშობილი და შეუსრულებელი ვალდებულებების ანულირება/ გაქარწყლებას.

17.8. კლიენტი უფლებამოსილია წარადგინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გაწეულ მომსახურებაზე პრეტენზიები ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვის-ცენტრში ან ბანკის (სათაო ოფისის) კანცელარიაში ზეპირი ან სტანდარტული წერილობითი ფორმით, აგრეთვე ინტერნეტ ბანკის შეტყობინებების სისტემით (ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში), წარდგენილი პრეტენზიის განხილვისა და წერილობითი პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) დღეს. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.halykbank.ge.